საქმე დს-შ/1-17 **31 მარტი, 2017 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:
მაია ვაჩაძე **(თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
მოსამართლეები: ნუგზარ სხირტლაძე,
ვასილ როინიშვილი

სხდომის მდივანი - მ. გ-ა

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ხ. ხ-ი

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, მოქალაქე გ. მ-ს განცხადების თანახმად, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ ხ. ხ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ ხ. ხ-ს ჰონორარის სახით - 600 ლარი და სახელმწიფო ბაჟის სახით - 100 ლარი გადასცა მაშინ, როცა ბაჟის გადახდა, როგორც დაზარალებულს, არ ეკუთვნოდა. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა კლიენტის დაუსწრებლად და ხელი კლიენტის ძმას მოაწერინა, რაც თვითონ ადვოკატმა დაადასტურა სატელეფონო საუბრისას.

საჩივრის ავტორის მითითებით, მან ადვოკატს საქმის მასალები გადასცა 2014 წლის ოქტომბერში, ხოლო საქმის წარმოება დაიწყო 2015 წლის ივლისში, შესაბამისად, ადვოკატი აჭიანურებდა საქმის წარმოებას. საჩივრის ავტორს ასევე უჭირდა ადვოკატთან კომუნიკაცია, რადგან იგი არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. ამის შემდეგ გ. მ-ე იძულებული გახდა მისულიყო სხვა ადვოკატთან - მ. ხ-სთან, რომელმაც მოცემული საქმის წარმოება ბოლომდე არ მიიყვანა. ამის შემდეგ გ. მ-მ ადვოკატ ხ. ხ-ს შესთავაზა საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილისა და სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ დაუბრუნებდა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის თანხას, როცა ახალ კლიენტს აიყვანდა. ასევე აღნიშნა, რომ გადახდილი ჰონორარიდან 400 ლარი მან მეორე ადვოკატს - მ. ხ-ს გადასცა. საჩივრის ავტორმა მოითხოვა ადვოკატს დაებრუნებინა მისთვის აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რათა მას მოპასუხისაგან მოეთხოვა წარმომადგენლისათვის გადახდილი ხარჯის ანაზღაურება.

ადვოკატმა ხ. ხ-მა კოლეგიის სხდომაზე აღნიშნა, რომ მას საქმე უნდა ეწარმოებინა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კუთხით. მას ამ საქმის წარმოების პროცესში გარდაეცვალა დედა, რის გამოც 2015 წლიდან საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი - მ. ხ-ე. შესაბამისდ, ადვოკატი სამოქალაქო საქმეს აწარმოებდა მ. ხ-სთან ერთად, ხოლო სისხლის სამართლის საქმეს დამოუკიდებლად. ადვოკატის განმარტებით, მან ჰონორარის სახით მოითხოვა 700 ლარი, ხოლო 200 ლარი ქალაქგარეთ ხარჯებისთვის. კლიენტმა მას გადასცა 600 ლარი და 100 ლარი ხარჯებისთვის. დარჩენილი 100 ლარი კი კლიენტს მოგვიანებით უნდა გადაეცა. ადვოკატს კლიენტისთვის სახელმწიფო ბაჟის თანხა არ მოუთხოვია, რადგან იგი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა მოგვიანებით, ურთიერთობის დაწყებიდან რაღაც დროის შემდეგ. მისთვის მომჩივანს დოკუმენტები არ გადაუცია. მან ყველა დოკუმენტი დამოუკიდებლად მოიძია. საადვოკატო ურთიერთობის დასრულებისას გ. მ-ს დოკუმენტების დაბრუნება არ მოუთხოვია.

კოლეგიის დასკვნით, ეთიკის კომისიის მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5, მე-8 და მე-12 ნაწილების დარღვევას.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ადვოკატი ხ. ხ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 6 აგვისტოს. ადვოკატმა ჰონორარის სახით კლიენტისგან აიღო 600 ლარი.

ადვოკატმა ხ. ხ-მა გ. მ-ს სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, ვინაიდან არ იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი. 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. მ-ს სარჩელი. ამ უკანასკნელის კუთვნილი ნივთების განზრახ დაზიანება/განადგურების ფაქტზე გამოძიება შეწყდა 2014 წლის 16 სექტემბერს, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირები იყვნენ მცირეწლოვნები. ადვოკატმა საჩივარი დაწერა გამომძიებლის - შ. ს--ს წინააღმდეგ, მაგრამ მის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. გ. მ-ე, როგორც დაზარალებული, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ადვოკატ ხ. ხ-ს მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარს დართული არ ჰქონდა გ. მ-ს მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. ხ-ს მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლინეტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადვოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის №035/10 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“.

გ. მ-სა და ადვოკატ ხ. ხ-ს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის ოქტომბერში, ხოლო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 6 აგვისტოს, რომლითაც ადვოკატმა აიღო ვალდებულება, წარმოედგინა კლიენტის ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაციაში, დაწესებულებასა და სასამართლოში. კონკრეტულად, ადვოკატმა აიღო ვალდებულება საქმე ეწარმოებინა, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის კუთხით. ადვოკატის საქმეში ჩართვის დროისათვის გ. მ-ს სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც იგი წარმოადგენდა დაზარალებულს, გამოძიება უკვე დაწყებული იყო. მოცემულ საქმეზე გამოძიება შეწყდა, რადგან ქმედება ჩადენილი იყო მცირეწლოვნების მიერ. კლიენტს მიაჩნდა, რომ გამოძიება არაობიექტურად ჩატარდა, რის გამოც ადვოკატმა გენინსპექციას მიმართა გამომძიებლის - შ. ს-ს წინააღმდეგ, მაგრამ ამ პირის მიმართ არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა

ხაშურის რაიონულ სასამართლოს, თუმცა მას უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რადგან საქმე არ იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი. მხარეთა განმარტებით, ვინაიდან ხ. ხ-ს გარდაეცვალა დედა, საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი - მ. ხ-ე და უკვე მისი მონაწილეობით მიმართეს ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს. 2015 წლის 28 ოქტომბერს სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. მ-ს სარჩელი.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. ხ-ს მიერ დაირღვა აგრეთვე „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“ და ამავე მუხლის მე-12 ნაწილი: „ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. კომისიის განმარტებით, კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ჰონორარი განისაზღვრა 500 ლარით, ხოლო ადვოკატის ხარჯები - 200 ლარით. ადვოკატმა დაადასტურა, რომ კლიენტმა ჰონორარის სახით გადასცა 600 ლარი, ასევე მისგან მიიღო 100 ლარი, მაგრამ ეს თანხა წარმოადგენდა თანხას ხარჯებისთვის და არა სახელმწიფო ბაჟისათვის, ვინაიდან მხარეს კანონი ათავისუფლებდა სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან. კომისიის შეფასებით, კლიენტისათვის წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი თანხის მიზნობრიობა, რასაც ის ადვოკატს გადასცემს და ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ ყველა თანხასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას იხელმძღვანელა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა. ამდენად, ადვოკატ ხ. ხ-ს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ხ. ხ-მა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, არ არის დაფუძნებული სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპზე და გამოყენებული პასუხისმგებლობის ფორმა არ არის გადაცდომის ადეკვატური. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის გარეშე და უპირობოდ გაიზიარა სჩივრის ავტორის მიერ მითითებული არგუმენტები. „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტითა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული ფუქციების არაკეთილსინდისიერად შესრულება არ დასტურდება არც ერთი მტკიცებულებით, უფრო მეტიც, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, იგი მოქმედებდა კანონის შესაბამისად, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების დროს. მან შეისწავლა სისხლის სამართლის საქმე, დაწერა არაერთი განცხადება/საჩივარი, სარჩელი, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა. ამასთან, სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება არ უნდა იქნეს განმარტებული მოცემულ საქმეში ადვოკატის ფორმალურ მონაწილეობად.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა - ხ. ხ-მა აიღო ვალდებულება, 2014 წლის ოქტომბრიდან გ. მ-ს ინტერესები წარმოედგინა ყველა ორგანიზაცია/დაწესებულებაში, რას არასწორია, რადგან საჩივრის ავტორმა თავიდან მხოლოდ გამოითხოვა დოკუმენტაცია და მიიღო ინფორმაცია, თუ რამდენად შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება ან გაგრძელება. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა დაეწყო სამოქალაქო სამართალწარმოება, რათა არ დაზარალებულიყო გ. მ-ე და მიეღო მიყენებული ზიანი. ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ, ხოლო რაც შეეხება მინდობილობას, გ. მ-მ ადვოკატს ასეთი რწმუნებულება არ გაუფორმა, მაგრამ ადვოკატმა გაითვალისწინა მისი უპირატესი ინტერესი და სარჩელი შეუდგინა მისი მონაცემების მითითების გარეშე იმ პირობით, რომ ის სასამართლო სხდომის დანიშვნამდე წარმოადგენდა რწმუნებულებას.

რაც შეეხება „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-8 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევებს, საჩივრის ავტორის აზრით, ხელშეკრულებაში ზუსტადაა ასახული კლიენტის მიერ გადახდილი თანხების მიზნობრიობა. კერძოდ, 500 ლარი წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს, ხოლო 200 ლარი იმ ხარჯებს, რაც საქმისწარმოების დროს ესაჭიროებოდა ადვოკატს მგზავრობისთვის, საკანცელარიო და სხვა ხარჯებისთვის, რაზეც ინფორმირებული იყო გ. მ-ე.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ხ. ხ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 65.1 მუხლის (კანონის ანალოგია) შესაბამისად დადგენილია, რომ სადისციპლინო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი

თვალსაზრისით და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის გათვალისწინებით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ ხ. ხ-სა და კლიენტ გ. მ-ს შორის საადვოკატო მომსახურების ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა თითქმის 10 თვის შემდეგ - 2015 წლის 6 აგვისტოს. ადვოკატმა ჰონორარის სახით კლიენტისგან ხელზე აიღო 600 ლარი. 2015 წლის ივნისში ადვოკატმა - ხ. ხ-მა, გ. მ-ს სახელით, სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, ამასთან, იშუამდგომლა მოპასუხეებზე სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურების თანხის დაკისრების თაობაზე, თუმცა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, ვინაიდან არ იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი. დადგენილია, რომ ადვოკატ ხ. ხ-ს გარდაეცვალა დედა, რის გამოც საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი - მ. ხ-ე და უკვე მისი მონაწილეობით 2015 წლის 1 ივნისს ადვოკატებმა სარჩელით მიმართეს ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს. 2015 წლის 28 ოქტომბერს სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. მ-ს სარჩელი, ხოლო ზემოაღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ადვოკატ ხ. ხ-ს მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარს დართული არ ჰქონდა გ. მ-ს მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხის გადახდისა და სხვა ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ქვითარი. გ. მ-ს კუთვნილი ნივთების განზრახ დაზიანება/განადგურების ფაქტზე გამოძიება შეწყდა 2014 წლის 16 სექტემბერს, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირები იყვნენ მცირეწლოვნები. ადვოკატმა საჩივარი დაწერა გამომძიებლის - შ. ს-ს წინააღმდეგ, მაგრამ მის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ გ. მ-ე, როგორც დაზარალებული, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ხ. ხ-მა უგულებელყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ასევე „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის შესაბამისად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა და განახორციელოს წარმომადგენლობა.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისადმი საადვოკატო მომსახურება შემოიფარგლა შემდეგი მოქმედებებით: ადვოკატი ხ. ხ-ი ჩავიდა ქარელის რაიონში და გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს და გაარკვია, რომ დანაშაულის ჩამდენი პირების მცირეწლოვანების გამო,

გამოძიება შეწყვეტილი იყო 2014 წლის 16 სექტემბერს; ადვოკატმა საჩივარი დაწერა გამომძიებლის - შ. ს-ს წინააღმდეგ, მაგრამ მის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო; ადვოკატმა შემდეგ სამოქალაქო სარჩელი წარადგინა ხაშურის რაიონულ სასამართლოში, თუმცა სასამართლომ სარჩელი უკან დააბრუნა, რის შემდეგაც საქმის წარმოება ქარელის მაგისტრატ მოსამართლესთან გააგრძელა სხვა ადვოკატმა - მ. ხ-მ. მხარეთა განმარტებებით დადასტურებულია, რომ ადვოკატმა აღნიშნული საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის ხელზე მიიღო 600 ლარი.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის ოქტომბერში. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მათ შორის გაფორმდა მოგვიანებით, 2015 წლის 6 აგვისტოს, რომლითაც ადვოკატმა აიღო ვალდებულება, კლიენტის საქმე ეწარმოებინა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის კუთხით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადვოკატის საქმეში ჩართვის დროისათვის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება უკვე შეწყვეტილი იყო, მაგრამ კლიენტს მიაჩნდა, რომ საქმეზე გამოძიება არაობიექტურად ჩატარდა, რის გამოც ადვოკატმა ხ. ხ-მა საჩივრით მიმართა პროკურატურას გამომძიებლის - შ. ს-ს წინააღმდეგ, მაგრამ კლიენტისათვის სასურველი შედეგი მაინც არ დადგა.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებით და მისი სახელით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მიმართა სამოქალაქო სასამართლოს, სადაც იშუამდგომლა მოპასუხეებზე სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურების თანხის დაკისრების თაობაზე. გ. მ-ს იტერესში შედიოდა ადვოკატს სარჩელისთვის დაერთო საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რათა ადვოკატის ხარჯი დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს. მართალია, ადვოკატმა იშუამდგომლა ზემოაღნიშნული მოთხოვნით, მაგრამ სარჩელს არ დაურთო ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ასევე, მას შემდეგ, რაც ხაშურის რაიონულმა სასამართლომ განსჯადობით არ მიიღო ხ. ხ-ს მიერ მომზადებული სარჩელი და უკვე მეორე ადვოკატმა - მ. ხ-მ გააგრძელა განსჯად სასამართლოში საქმის წარმოება, ადვოკატ ხ. ხ-ს მისთვის არ გადაუცია გადახდილი ჰონორარის ქვითარი და შესაბამისად, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის გამო.

სადისციპლონო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოსარჩელესა და ადვოკატს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 709-ე მუხლი). მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლებში გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ამდენად, მხარეებს შორის იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ამასთან, დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 709-ე მუხლის მოთხოვნა მარწმუნებლის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების მინდობილობის გაცემის შესახებ, რათა წარმომადგენელმა შეძლოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების გაწევაზე მხარეთა შორის არსებობდა მხოლოდ ზეპირი შეთანხმება, ხელშეკრულება ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა თითქმის ერთი წლის შემდეგ. შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა მოპასუხეებზე სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურების თანხის დაკისრებას, დაყენებული იყო კლიენტის - გ. მ-ს სახელით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შუამდგომლობას არ ერთვოდა არც წარმომადგენლობის დამადასტურებელი მტკიცებულება/რწმუნებულება, არც თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა - ხ. ხ-მა აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე გააჩნდა ორდერი, თუმცა იგი გაცემული იყო სისხლის სამართლის საქმეზე და არა სამოქალაქო საქმეზე. მოცემულ დისციპლინურ საქმეში ორდერი არ არის წარმოდგენილი. ადვოკატმა ასევე დაადასტურა, რომ გ. მ-ს მისთვის რწმუნებულება არ გაუფორმებია, თუმცა მოგვიანებით ხელშეკრულება მაინც დადო. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატს ევალებოდა მტკიცებულებების შუამდგომლობაზე დართვის უზრუნველყოფა. ამდენად, მის მიერ დარღვეულია საქმის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულება. ადვოკატმა არაკვალიფიციურად იმოქმედა მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობის შესრულებისას. მიუხედავად იმისა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. მ-ს სარჩელი, ადვოკატის ქმედებით კლიენტს მიადგა ზიანი, კერძოდ, მან ვერ შეძლო აენაზღაურებინა ადვოკატისთვის გაწეული ხარჯი - 600 ლარი, რადგან სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის მოტივით. ამდენად, სახეზეა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

სადიციპლინო პალატა ეთანხმება ეთიკის კომისიის დასკვნას, რომ ადვოკატ ხ. ხ-ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი, რომლის შესაბამისად, „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“, ასევე დარღვეულია ამავე მუხლის მე-12 ნაწილი, რომლის თანახმად, „ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების მე-3 პუნქტში ადვოკატის ჰონორარი განისაზღვრა 500 ლარით, ხოლო ადვოკატის ხარჯები 200 ლარით. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ადვოკატსა და კლიენტს გააჩნიათ სხვადასხვა მოსაზრებები. კერძოდ, კლინეტი უთითებს, რომ ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 600 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად - 100 ლარი. ადვოკატი - ხ. ხ-ი კი აღნიშნავს, რომ კლიენტისგან მიიღო ჰონორარის სახით -

600 ლარი, ხოლო სხვა ხარჯებისთვის - 100 ლარი, მაგრამ ეს თანხა წარმოადგენდა თანხას მისი დანახარჯებისთვის და არა სახელმწიფო ბაჟისთვის, რადგან კლიენტი კანონის საფუძველზე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული თანხების გადაცემა განხორციელდა ადვოკატსა და კლინეტს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ხელშეკრულების გაფორმება თითქმის ერთი წლის შემდეგ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამდენად, ადვოკატმა, ხ. ხ-მა დაარღვია ზემოაღნიშნული ნორმები, კერძოდ, არ აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ თანხებთან დაკავშირებით, რის გამოც ვერ დგინდება გადაცემული თანხების მიზნობრიობა.

სადისციპლინო პალატის აზრით, საჩივრის ავტორის არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებული თანხიდან 600 ლარი წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს, ხოლო 100 ლარი იმ ხარჯებს, რაც საქმისწარმოების დროს ესაჭიროებოდა ადვოკატს მგზავრობისთვის, საკანცელარიო და სხვა ხარჯებისთვის, რაზეც ინფორმირებული იყო გ. მ-ე, საფუძველს მოკლებულია. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ დგინდება, რა მიზნით მიიღო ადვოკატმა კლიენტისგან 100 ლარი, ეს იყო სახელმწიფო ბაჟის თანხა თუ თანხა სხვა ხარჯებისთვის. საჩივრის ავტორს არც ეთიკის კომისიაში და არც სადისციპლინო პალატაში არ წარმოუდგენია მიღებული თანხების მიზნობრიობის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის მიერ გადაცემული საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილების შეფარდებასთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატა თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, ასევე, კლიენტისთვის მიყენებული ზიანი. ამდენად, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული არ არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების ნორმები. დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ა’’ ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ხ. ხ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის №007/16 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/